კომპლექსური დავალება – ბავშვთა განათლების უფლება

ავტორი: **ლელა მანგოშვილი**

ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში, მასწავლებელთა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, 2021-2022 სასწავლო წლის შემაჯამებელი ეროვნული კონფერენცია გაიმართა.

საგნობრივი მიმართულებების მიხედვით განაწილებულ სექციებში, ორი დღის განმავლობაში, მსმენელთა წინაშე საინტერესო მოხსენებებით წარდგნენ საქართველოს ყველა რეგიონში მოღვაწე მასწავლებლები.

მინდა, გაგიზიაროთ სსიპ ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის 150-ე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლის, ირმა ჯალაღონიას საავტორო კომპლექსური დავალება ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

კლასი – III

ძირითადი რესურსი/ტექსტი -„მზიანი დღე“- ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ მიხედვით.

თემა – განათლების უფლება

სამიზნე ცნება – სიტყვიდან ტექსტამდე (შედეგები: (I) 4,5,6)

ქვეცნება – დასაბუთება

საკითხი – წერილობითი დასაბუთება პირადი თვალსაზრისისა ბავშვის განათლების უფლებასა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით

ქვესაკითხები – დასაბუთების შემადგენელი ნაწილები/ელემენტები (პოზიცია, არგუმენტი, მაგალითი). ლოგიკური კავშირების, შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა (მაგ., აზრის დასაბუთებისას, შეფასებისას).წინადადება, აბზაცი, ტექსტი.

საკვანძო შეკითხვა – როგორ დავასაბუთო წერილობით ჩემი მოსაზრება?

რამდენად ამყარებს ჩემს მოსაზრებას მოყვანილი არგუმენტები და მაგალითები?

©განათლების e- სახლი

როგორ შევარჩიო სიტყვები და წინადადებები სათქმელის გამოსახატავად? როგორ გავიმდიდრო სიტყვების მარაგი?

კომპლექსური დავალების პირობა

დაფიქრდი და წერილობით დაასაბუთე შენი მოსაზრება შემდეგ საკითხზე:

ყველა ბავშვისთვის მნიშვნელოვანია განათლების მიღება.

ნამუშევარში:

- გადმოეცი, ეთანხმები თუ არა განათლების საჭიროებას ყველა ბავშვისთვის.
- ახსენი, რატომ ფიქრობ ასე და მოიყვანე მოსაზრების დამადასტურებელი მაგალითები (გაიხსენე შესწავლილი მოთხრობა ან პირადი გამოცდილება, ან ბრძნული გამონათქვამი)
- გადმოეცი სათქმელი თანმიმდევრულად, გამოიყენე პირადი დამოკიდებულების

აღმნიშვნელი ენობრივი საშუალებები (მაგ., ჩემი აზრით, მე ვფიქრობ, ვეთანხმები... იმიტომ, იმის გამო, რომ, რადგან...)

- გამოიყენე აბზაცები და სასვენი ნიშნები.

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე: (შეფასების კრიტერიუმები)

- როგორია შენი თვალსაზრისი; ახსენი, რატომ ფიქრობ ასე და მოიყვანე შენი პოზიციის დამადასტურებელი მაგალითები (ს. 3);
- რამდენად შეესაბამება/ განამტკიცებს შენი მოყვანილი მაგალითები მოსაზრებას (ს. 2, 3);
- მიზეზშედეგობრიობისა და პირადი დამოკიდებულების გამომხატველ რომელ სიტყვებს, ფრაზებს გამოიყენებ დასაბუთებისას (ს.1)

შენიშვნა: თითოეულ კრიტერიუმთან, ფრჩხილებში, შემოკლებითაა მითითებული სამიზნე ცნება ,,სიტყვიდან ტექსტამდე“.

ეტაპი I. მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა და გაცნობიერება.

- გაიხსენეთ, რის დასაბუთება გიწევთ თანატოლთან, მშობელთან; როგორ ასაბუთებთ თქვენს მოსაზრებას?
- გაიხსენეთ, რომელი მოსაზრება დავასაბუთეთ ბოლოს? რას მივაქციეთ დასაბუთების დროს ყურადღება?
- გაიხსენეთ, როგორია კარგი დასაბუთების მაგალითი – რა ნაწილებისგან უნდა შედგებოდეს? (თვალსაზრისი, არგუმენტი, მაგალითი);
- რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება?

©განათლების e- სახლი

- როგორ გამოიყენებ მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას დავალების შესრულებისას?
- რისი შესწავლა დაგვჭირდება?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. რატომ ფიქრობ, რომ შენი ტექსტი დასაბუთებას წარმოადგენს? რამდენად ამყარებს შენი არგუმენტები და მაგალითები მოსაზრებას? (ს.1,2);

აქტივობა: მოსწავლეებმა გაიხსენეს შესწავლილი თემა: ,,ტყის დაცვა სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანია'' და გამოხატეს პოზიცია ტყის გაფრთხილებასთან დაკავშირებით.

ნაბიჯი 2. რომელ ენობრივ საშუალებებს, მიზეზშედეგობრიობისა და პირადი დამოკიდებულების გამომხატველ რომელ სიტყვებს, ფრაზებს გამოიყენებ დასაბუთებისას? (ს.1)

აქტივობა: მოსწავლეებმა გაიხსენეს დასაბუთების ენობრივი მახასიათებლები:

©განათლების e- სახლი

აქტივობა: მოსწავლეებმა უპასუხეს სამიზნე ცოდნის კონსტრუირებისთვის დასმულ შეკითხვებს ბავშვთა უფლებების დეკლარაციის მიხედვით:

©განათლების e- სახლი



- რას გულისხმობს, რას ნიშნავს ბავშვის განათლების უფლება?
- ვინ უნდა ზრუნავდეს ბავშვის განათლების უფლების დაცვაზე? რატომ უნდა შეუწყოს მშობელმა შვილს ხელი სწავლაში?
- რატომ სჭირდება ბავშვს თამაშისა და დასვენების უფლება?
- რას აკეთებენ თქვენი მშობლები იმისათვის, რომ თქვენ განათლება მიიღოთ?
- წიგნის გარდა, რა საშუალებები არსებობს განათლების მისაღებად?
- როგორ ფიქრობთ, რაში დაგეხმარებათ წიგნი და განათლება? რისთვის გჭირდებათ ცოდნა.

აქტივობა: მოსწავლეებმა შექმნეს საერთო საკლასო პოსტერი ბავშვთა უფლებების თემაზე – ბავშვთა დაცვის დღეს, 1 ივნისს.

ნაბიჯი 3. შინაარსის გასამდიდრებლად, მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების

მოსახდენად მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სიტყვებისა და წინადადებების გამოყენება.

აქტივობა: მოსწავლეებმა გაიხსენეს და შეისწავლეს ცნობილი გამონათქვამები სწავლისა და განათლების შესახებ.

,,ცოდნა ბედნიერებაა.“

„ცოდნა სამოთხეა, არცოდნა-ჯოჯოხეთიო.“

„ცოდნა ძალაა.“

„უსწავლელი კაცი უტარო ცულიაო.“

„სწავლა სიმდიდრეს სჯობიაო.“

„ცოდნა ხმალზეც უფრო ჭრის და ზარბაზანზეც უფრო ძლიერიაო.“

„სწავლა სალესავია, კაცს ფხას აძლევსო.“

©განათლების e- სახლი

„მხოლოდ განათლება იყო და არის წყარო ყოველგვარი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისა”

„ქვეყანა იმით კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულგანათებული კაცები არა ჰყავს”

„ცოდნა მხოლოდ მაშინ არის ღირებული, თუ მას პრაქტიკაში გამოიყენებ.”

„სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“

„თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“

„მითხარი და დამავიწყდება, მაჩვენე და დავიმახსოვრებ, გამაკეთებინე და მეცოდინება.“

„განათლებულ ადამიანს ყოველთვის უფრო მეტი შეკითხვა აქვს, ვიდრე პასუხი.“

„განათლება იწყება წარუმატებლობით, პირველი მარცხი პირველი გაკვეთილია.“

აქტივობა: მოსწავლეებმა შექმნეს მინიპოსტერები: ,,რას ამბობენ ჭკვიანი ადამიანები განათლების შესახებ”

აქტივობების განხორციელების შემდეგ მოსწავლეებმა შექმნეს პირველადი ვერსია - თვალსაზრისის წერილობითი დასაბუთება – ყველა ბავშვისთვის მნიშვნელოვანია განათლების მიღება. კრიტერიუმებზე დაყრდნობით გააუმჯობესეს ნამუშევრები და შექმნეს საბოლოო პროდუქტი.

©განათლების e- სახლი





ნამუშევრის შეფასების კრიტერიუმები:

- გამოკვეთილი გაქვს თუ არა შენი პოზიცია (ანუ ეთანხმები თუ არა გამოთქმულ თვალსაზრისს)?
- გაქვს თუ არა არგუმენტი (ანუ ახსნილი, რატომ ფიქრობ ასე) ?
- გაქვს თუ არა მოყვანილი არგუმენტის შესაბამისი მაგალითები?
- გაქვს თუ არა გამოყენებული მიზეზშედეგობრიობის (რადგან..., ამიტომ; იმიტომ, რომ....; ან პირადი დამოკიდებულების (ჩემი აზრით, მე ვფიქრობ...) აღმნიშვნელი სიტყვები?
- სწორად გაქვს თუ არა აბზაცები გამოყოფილი? რის საფუძველზე გამოყავი ისინი?
- სწორად გაქვს თუ არა დასმული სასვენი ნიშნები?
- რის საფუძველზე დასვი სასვენი ნიშნები?

როგორც თავად ქ-ნი ირმა ჯალაღონია აღნიშნავს, ნამუშევრების განმავითარებელი შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებმა (ასაკის შესაბამისად) სიღრმისეულად გაიაზრეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბავშვთა უფლებებს შორის განათლების უფლებას და გამოხატეს თავიანთი მოსაზრება განათლების მიღებასთან დაკავშირებით; საკუთარი პოზიციის განმტკიცებას შეეცადნენ სხვადასხვა არგუმენტის და მაგალითის მოყვანით; გაეცნენ ცნობილი ადამიანების აზრებს და შეეცადნენ ამგვარი ციტატების გამოყენებას თავიანთ მსჯელობაში.

მოსწავლეებს განუვითარდათ ფუნქციურ-კომპონენტური უნარები: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, მოქალაქეობა.

პ.ს. შემდეგ სტატიაში შემოგთავაზებთ ეროვნულ კონფერენციაზე წარდგენილ მხიარულ კომპლექსურ დავალებას ,,მე და საზოგადოების'' საგნობრივი მიმართულებიდან.

©განათლების e- სახლი